



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა რ ი ტ ა ს ი

Tel./Fax, ტელ/ფაქსი: (+995 32) 221 78 19, 225 13 87 Mob./ მობ. (+995) 591 229 700
E-mail/ელ-ფოსტა: caritas-georgia@caritas.ge
Office address: 3a, Nutsubidze Plateau II, 0183 Tbilisi, Georgia
მისამართი: ნუცუბიძის II მ/რ. 3ა, 0183 თბილისი, საქართველო
Website/ვებ-გვერდი: www.caritas.ge, www.facebook.com/CaritasGeorgiaOfficial

CG R-70 378/20
25.08.2020

შპს „ჯეოსთილს“

მოგესალმებით ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის სახელით და მადლობას გიხდით თქვენი კომპანიის მხრიდან ჩვენი ორგანიზაციის დახმარებისთვის.

საქართველოს კარიტასი 1994 წლიდან ეწევა ქველმოქმედებას საქართველოში. სხვა მრავალ საქველმოქმედო პროექტთან ერთად ვმართავთ მიუსაფარ ბავშვთა ცენტრს ქ. რუსთავში, რომელიც ემსახურება ქუჩასთან კავშირში მყოფ ბავშვებს. რუსთავის მიუსაფარ ბავშვთა ცენტრი წლის განმავლობაში საშუალოდ 60 ქუჩასთან კავშირში მყოფ და რისკის ჯგუფის ბავშვს უწევს მომსახურებას.

თქვენმა არაერთმა შემოწირულობამ სწორედ ეს ბავშვები გაახარა. დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება და ერთად ვიზრუნებთ ყველაზე მეტად დაუცველ ბავშვებზე. განსაკუთრებულ მადლობას მოგახსენებთ შპს „ჯეოსთილი“-ს მზაობისთვის, რაც გულისხმობს უახლოეს მომავალში ქალაქ რუსთავში მიუსაფარ ბავშვთა ცენტრისთვის უსაფრთხო და ბავშვების საჭიროებებზე მორგებული შენობით უზრუნველყოფას.

პატივისცემით,

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის
ბავშვთა პროგრამის მენეჯერი
თამარ შარაშიძე

